საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული (გრანტი №GEO-T-NCDC) „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში

# ტუბერკულოზისა და შიდსის მართვის პროგრამების გარდამავალი/მდგრადობის გეგმის შემუშავების მომსახურების შესყიდვა

(CPV კოდი 79400000)

ბიზნესთან და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები

ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო  დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

თბილისი 2016 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის .....3-5

2. საკვალიფიკაციო მონაცემები .....6

3. დამატებითი ინფორმაცია .....7

4. ტექნიკური დავალება ..... 8-12

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....13-16

6. დანართი N1 რეკვიზიტები .....17

## ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

(წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის მასალას და არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ტექნიკური დავალების ნაწილი)

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას.**

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

**1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.**

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშეც, სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღება ხდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის info@procurement.gov.ge მეშვეობით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

**1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, ხოლო ვადა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებიდან არანაკლებ - 120 კალენდარული დღით (გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში) და 160 კალენდარული დღით (ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში).**

1.8. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები – ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი (შემდგომში დამატებითი რაუნდები), რომელიც იწყება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით

დამტკიცებული  წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე. პირველი დამატებითი რაუნდი იწყება ხუთწუთიანი შესვენებით, ხოლო შემდგომი თითოეული დამატებითი რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს დამატებით რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუემნტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე,  შემსყიდველი მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის.

1.20. თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით (ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.21. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებლია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტს ასევე, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

1.22. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული) შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის  N9 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ვადებში.

1.23.  პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია,  „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის  N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის  N9 ბრძანებით დამტკიცებული  წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს  ამ წესის  მოთხოვნათა დაცვით;

ვ) თუ ის არის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის  N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი  და არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების

დადებაზე;
ვ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.24. ამ ინსტრუქციის 1.23. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. რისთვისაც განისისაზღვრება ვადა 3 (სამი) სამუშაო დღით. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

1.26. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ - „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.27. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.26. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.28. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა
ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, შესყიდვაში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.29. **ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**

1.30. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.31. **სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

1.32. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.33. **პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.**

# საკვალიფიკაციო მონაცემები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირისათვის:
• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
1.2. ფიზიკური პირისათვის:
• ცნობა სათანადო დაწესებულებიდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება.
1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:
• ცნობა შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

*არარეზიდენტმა პირებმა პირველ პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით - ლეგალიზებული ფორმა.*

* ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:
ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
* ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
* პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

# დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლისა და მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

3. სატენდერო წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან/და ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წინასწარი გადახდის მექანიზმი, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარი გადასახდელი თანხის სრულ ოდენობაზე.

5. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. რისთვისაც გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა წარმოადგინსო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით.

6. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს GFATM-ის „მომწოდებელთა ქცევის ნორმების სახელმძღვანელოს“ http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ და იმოქმედოს მის შესაბამისად. მისი დაუცველობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი;

7. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

8. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დავით მღებრიშვილი, ხათუნა კაპანაძე სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერონული ცენტრი“ (მისამართზე: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9) მე-5 სართული, ტელეფონი: (995 32) 2398946 – შიდა (187).

# ტექნიკური დავალება

**სამუშაოს აღწერილობა**

---

**საქართველოში შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (შემდგომში გლობალური ფონდი) ტუბერკულოზისა და შიდსის პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის გარდამავალი ეტაპის გეგმის შემუშავება 2017-2021 წლებისათვის**

**მომსახურების ადგილი:** თბილისი,საქართველო;
საქართველოს რეგიონები - საჭიროებისამებრ
**პროექტის ხანგრძლივობა:** 9 თვე
**პროექტის დაწყების თარიღი:** 1 აპრილი, 2016

---

**საფუძვლები**

გადამდები დაავადებები, შიდსისა და ტუბერკულოზის ჩათვლით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მსოფლიოში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოსთვის გადამწყვეტი იყო გლობალური ფონდისა და სხვა საერთაშორისო დონორების დახმარება აღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლის კუთხით.

2003 წლიდან დღემდე გლობალური ფონდის დახმარებამ 100 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის მიერ გაწეული 103 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის 62,8% შიდსთან, 33,8% ტუბერკულოზთან და 3,4% მალარიასთან საბრძოლველად იქნა გამოყენებული, რაც ქვეყანაში აღნიშნული დაავადებების კონტროლის პროგრამების წარმატებული გახორციელების წინაპირობა გახდა, მათ შორის 2011 წლიდან მოხდა მალარიის ელიმინაცია. საქართველოში შიდსით დაავადებულთა ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამა საერთაშორისო ექსპერტების მიერ აღიარებულია როგორც რეგიონში საუკეთესო, რასაც საფუძვლად უდევს მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა და პროგრამული ინტერვენციების მაღალი ხარისხი. ასევე უზრუნველყოფილია ყველა ფორმის ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. ტუბერკულოზის ეროვნულმა პროგრამამ შეძლო დაავადების მართვის აღიარებული საერთაშორისო სტრატეგიებისა და რეკომენდაციების დანერგვა და განხორციელება, მათ შორის სწრაფი მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდებისა და ახალი მედიკამენტების გამოყენების გზით.

მიუხედავად ტუბერკულოზისა და შიდსის მართვის კუთხით მიღწეული წარმატებისა, საქართვლო კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე რჩება, რაც ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაძლიერებას, პაციენტზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას, პროგრამული დაფინანსების ზრდასა და მართვის მექანიზმების სრულყოფას უკავშირდება.

გლობალური ფონდის ტუბერკულოზისა და შიდსის მიმდინარე პროგრამები 2016 წლის ივნისში მთავრდება, ამავე წლის ივლისიდან მოხდება გლობალური ფონდის დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში დამტკიცებული ახალი პროგრამების ინიცირება, რომელთა ხანგრძლივობა 2,5 – 3 წელია. გამომდინარე იქიდან, რომ გლობალური ფონდის დაფინანსების მოცულობა აღნიშნულ პერიოდზე მცირდება, საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან შიდსისა და ტუბერუკულოზის პრიორიტეტული ინტერვენციების დაფინანსების ეტაპობრივი მნიშვნელოვანი ზრდა. ფინანსური პასუხისმგებლობების სახელმწიფოზე გადაბარების პროცესი უკვე დაწყებულია, კერძოდ 2015 წელს პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური და ანტირეტროვირუსული პრეპარატების შესყიდვა სრულად დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დამატებით, მომავალი წლიდან დაგეგმილია მეორე რიგის მედიკამენტების 25%-იანი თანადაფინანსება, რაც 2018 წელს 75%-მდე უნდა გაიზრდოს. ასევე 2016-2019 წლების საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩოში (MTEF) გათვალისწინებულია დაფინანსების ზრდა შიდსისა და ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამებისთვის, აღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლის განახლებულ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმებთან შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს ქვეყნისთვის ძირითად სახელმძღვანელოს ტუბერკულოზის და შიდსის რეკომენდებული მიდგომების სისტემური ინტეგრაციის გზაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა სფეროში, შესაბამისი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

დონორული მხარდაჭერის დასრულებამდე ფინანსური პასუხისმგებლობების სახელმწიფოზე გარდამავალი პროცესის დაუბრკოლებლად გახორციელებისთვის აუცილებელია შეიქმნას პროგრამების მართვის მდგრადი სისტემები. ამისთვის რეკომენდებულია პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის/გარდამავალი დეტალური გეგმების შემუშავება. აღნიშნულის მნიშვნელობა გაწერილია გლობალური ფონდის დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში დამტკიცებულ შიდსისა და ტუბერკულოზის განაცხადებში, რაც გულისხმობს რომ 2017 წლისთვის ქვეყანას უნდა გააჩნდეს გეგმა რომელიც დეტალურად აღწერს გადაბარების პროცესის ძირითად მიმართულებებს სისტემური და დაავადებასთან ასოცირებული სამიზნეების მისაღწევად. გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს ფინანსურ გათვლებს, რომელიც აუცილებელია სამიზნე ჯგუფების ჯანმრთელობის და სოციალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამების სახელმწიფოსთვის ეტაპობრივი გადაბარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის პოლიტიკისა და ადვოკატირების მრჩეველთა საბჭოს, რომლის მანდატიც მოიცავს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთვის აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების გამოვლენას და მათი გადაწყვეტის გზების დასახვას. საბჭო უხელმძღვანელებს მდგრადი განვითარების გეგმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ტუბერკულოზისა და შიდსის მართვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას და სახელმწიფო დაფინანსებას. აღნიშნული გეგმა შეასრულებს გზამკვლევის ფუნქციას საქართველოში გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული შიდსისა და ტუბერკულოზის კონტროლის აქტივობების სახელმწიფო დაფინანსებით ჩანაცვლებისათვის, ყველა საჭირო ღონისძიების გათვალისწინებით, მათ შორის, რეკომენდაციებს მხარდამჭერი მარეგულირებელი და საკანონმდებლო გარემოს უზურნველყოფასთან დაკავშრებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის საკოორდინაციო და პოლიტიკისა და ადვოკატირების მრჩეველთა საბჭოს, ტუბერკულოზისა და შიდსის მართვის პროგრამებში ჩართული და გარდამავალ გეგმაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აცხადებს შესყიდვას საკონსულტაციო ფირმა/ორგანიზაციის გამოვლენის მიზნით, რომელიც გააერთიანებს კვალიფიციურ ექსპერტებს როგორც პროგრამული ასევე ფინანსური მდგრადობის კუთხით, ტუბერკულოზისა და შიდსის პროგრამების სახელმწიფოსთვის გადაბარბის გეგმის შემუშავების მიზნით.

**ტექნიკური დავალების მოცულობა და ამოცანები**

მომსახურების ძირითადი ამოცანაა ტუბერკულოზისა და შიდსის მართვის პროგრამების გარდამავალი/მდგრადობის გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას გლობალური ფონდის წინაშე 2017-2021 წლებში.

გეგმა უნდა პასუხობდეს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ყველა ქვაკუთხედს, მათ შორის ტუბერკულიზისა და შიდსის პროგრამების მართვას, ორგანიზებას და მონიტორინგს პასუხისმგებლობების სახელმწიფოზე გადაბარების მოთხოვნების შესაბამისად.

გეგმა უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოყვანილ ძირითად მიმართულებებს/სფეროებს (თუმცა სამუშაო პროცესში შესაძლებელია მათი მოდიფიცირება ან გაფართოება):

- ტუბერკულოზის და შიდსის ეროვნული პროგრამების მართვა;
- ტუბერკულოზის და შიდსის ეროვნული პროგრამების დაფინანსება, სახელმწიფოს მხრიდან საბიუჯეტო სახსრების ეტაპობრივი ზრდის, დაფინანსების მოდელის და მექანიზმების გათვალისწინებით;
- სერვისების მიწოდების ოპტიმალური მოდელები სამიზნე/მოწყვლადი ჯგუფებისთვის; აღნიშნული ნაწილი უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს საუკეთესო კლინიკური შედეგების მისაღწევად ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების თაობაზე
- შესყიდვებისა და მიწოდების ჯაჭვის მართვა, როელიც უზრუნველყოფს ხარისხიან მედიკამენტებსა და სამედიცინო სახარჯ მასალებზე ხელმისაწვდომობას;
- დაავადებებზე ზედამხედველობის სისტემის მდგრადობა, რაც მოიცავს ტუბერკულოზის/შიდსის მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემების დანერგვას ქვეყნის მასშტაბით და პროცესის უზრუნველყოფის/მხარდაჭერის მექანიზმებს;
- პოლიტიკის ჩარჩო რომელიც უნდა მოიცავდეს ადვოკატირების მექანიზმებს გარდამავალი პროცესის ეფექტური წარმართვისათვის, რაც საფუძვლად უნდა დაედოს პროგრამების მდგრადობას როგორც ფინანსური ასე განხორციელების კუთხით, გლობალური ფონდის პროგრამების დასრულების შემდეგ.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს გარდამავალი გეგმის შემუშავების პროცესის

გამჭვირვალობა, მასში ყველა ძირითადი პარტნიორისა და დაინტერესებული მხარის ჩართულობა, მათ შორის: ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს, პოლიტიკისა და ადვოკატირების ექსპერტთა საბჭოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრიი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ტუბერკულოზის და შიდსის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების, სამედიცინო პერსონალის, არასამთავრობო სექტორის, სათემო ორგანიზაციებისა და პაციენტთა გაერთიანებების.

გეგმა უნდა ეყრდნობოდეს შიდსთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის ქვენის უახლეს სტრატეგიულ გეგმებს, შეფასებებსა და კვლევებს. აღნიშნული დოკუმენტები ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას მიეწოდება შემსყიდველი ორგანიზაციის - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ.

გეგმის შემუშავება უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

**ეტაპი 1**

1. დროში გაწერილი სამუშაო გეგმის შექმნა;
2. გარდამავალი გეგმის მიმართულებების განსაზღვრა და მათი პრიორიტიზაცია, შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება წინასწარ განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობ(ებ)ის მიხედვით;
3. გარდამავალი გეგმის I სამუშაო ვერსიის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა მოიცავდეს დოკუემნტის სტრუქტურის მონახაზს, შეთანხმებულ მიმართულებებს, პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით;
4. I სამუშაო ვერსიის დასამტკიცებლად წარდგენა ქვეყნის საკოორდინაციო და პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოებისათვის.

**ეტაპი II**

1. გარდამავალი გეგმის II სამუშაო ვერსიის შემუშავება რომელიც მოიცავს: (ა) დეფიციტების, ნაკლოვანენებების ანალიზს თითოეული მიმართულებისათვის (ბ) სპეციფიურ ამოცანებს და სამიზნეებს (გ) სამიზნეების მისაღწევად გასატარებელ ღონისძიებებს (დ) განხორციელების პირობებს (განმახორციელებელი ერთეულები, მათი როლი გადაბარების პროცესში და შემდგომ) და (ე) მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს;
2. II სამუშაო ვერსიის დასამტკიცებლად წარდგენა ქვეყნის საკოორდინაციო და პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოებისათვის.

**ეტაპი III**

1. გარდამავალი გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება, ინტერვენციების განფასებით;
2. საბოლოო ვერსიის დასამტკიცებლად წარდგენა ქვეყნის საკოორდინაციო და პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოებისათვის.

**სპეციფიური მოთხოვნები**

- დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს პარტნიორებისა და პასუხისმგებელი მხარეების მაქსიმალური ჩართულობით, მათ შორის სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, მაღალი რისკის პოპულაციების და პაციენტთა თემების წარმომადგენლების;
- გეგმის თითოეულ მიმართულებაზე სამუშაოდ უნდა შეიქმნას თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელთა შეხვედრებიც შედგება წინასწარ შეთანხმებული გეგმების მიხედვით; მოხდეს ჯგუფების შეხვედრების დოკუმენტირება; სამუშაო ჯგუფები უნდა აერთიანებდეს პარტნიორებს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან, დარგობრივ ექსპერტებს და სხვ.;
- საბოლოო პროდუქტის შემუშავების ყველა ეტაპზე ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი თანამშრომლობა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთან და მასთან არსებულ პოლიტიკისა და ადვოკატირების მრჩეველთა საბჭოსთან;
- კომპანიამ დახმარება უნდა გაუწიოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროებთან გეგმის განხილვებისა და დიალოგის წარმართვაში, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს დამატებითი ტექნიკური დახმარების მოთხოვნის ან სხვა არსებული გამოწვევის კომუნიკაცია გლობალურ ფონდთან.

**კომპანია ასევე პასუხისგებელია:**

- ლოგისტიკური საკითხების ორგანიზებასა და ხარჯებზე: შეხვედრები, მრგვალი მაგიდა/განხილვები, ტრანსპორტირება, კომუნიკაცია, საოფისე მასალები და სხვ.;
- განმახორციელებელი ექსპერტების გუნდის დაქირავებაზე, სწავლებასა და ზედამხედველობაზე

**პროდუქტი/მიწოდების ვადები**

| # | **პროდუქტი** | **მიწოდების ვადა** |
|---|---|---|
| **1** | ***ეტაპი I***<br>პროექტის დროში გაწერილი სამუშაო გეგმის შეთანხმება პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოსთან და ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცება<br>გარდამავალი გეგმის დოკუმენტის I სამუშაო ვერსიის შეთანხმება, ძირითადი მიმართულებების და პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით | **ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 კვირაში**<br>**ივნისი, 2016** |
| **2** | ***ეტაპი II***<br>გარდამავალი გეგმის II სამუშაო ვერსია რომელიც მოიცავს სპეციფიურ ამოცანებს, სამიზნეებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ უწყებებს და მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს | **ოქტომბერი, 2016** |
| **3** | ***ეტაპი III***<br>გარდამავალი გეგმის საბოლოო ვერსია, განხორციელების გეგმის განფასებით | **დეკემბერი, 2016** |

**საკვალიფიკაციო მოთხონები/კომპეტენციები**

კომპანიას უნდა გააჩნდეს:

- სულ მცირე 5 წლიანი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება ჯანდაცვის სისტემის რეფორმების, გაძლიერების და შეფასების კუთხით. სასურველია გლობალურ ფონდთან მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია გამოცდილება სახელმწიფოს ან დონორის სახსრებით გარდამავალი/მდგრადობის გეგმების შემუშავების კუთხით;
- სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმვის კუთხით, რეგიონალური კარგი პრაქტიკისა და ტენდენციების ცოდნით, სპეციფიურად შიდსისა და ტუბერკულოზის მიმართულებით.

ძირითადი გუნდი

1. ჯგუფის ლიდერი - გამოცდილებით საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ჯანდაცვის პოლიტიკაში, ჯანდაცვის სისტემებში;
2. ჯანდაცვის სისტემის ექსპერტი - ექსპერტიზა და გამოცდილება ტუბერკულოზის და შიდსის სპეციფიური ინტერვენციების მიწოდებისას სისტემურ გამოწვევების გათვალისწინების;.
3. ჯანდაცვის დაფინანსების ექსპერტი;
4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტი - ექსპერტიზა და გამოცდილება ტუბერკულოზის და შიდსის პროგრამების დაგეგმვისა და მონიტორინგის სფეროში ეროვნულ დონეზე;
5. შესყიდვისა და მიწოდების ჯაჭვის მართვის სპეციალისტი.

პროცესში ჩართული სხვა ექსპერტები - პროფესიონალები ტუბერკულოზის და შიდსის სპეციფიური გამოცდილებით. მათი ჩართულობა არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი იქნება აღნიშნული სპეციფიური გამოცდილებისა და ექსპერტიზის არსებობის მტკიცებულება ძირითად გუნდში.

**ზედამხედველობა**

შერჩეული ორგანიზაციიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ადმინისტრისრებას განახორციელებს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ხელშეკრულების ყველა ძირითადი პროდუქტის რევიზია და დამტკიცება უნდა მოხდეს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

**შეფასების/მოსწრების ინდიკატორები**

- ხარისხიანი პროდუქტის დროული მიწოდება
- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მხრიდან ქვემოთ მოყვანილი პროდუქტის მიღების წინაპირობაა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ გაცემული წერლობითი დასტური:
  a) ტუბერკულოზის და შიდსის გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსია;
  b) ტუბერკულოზის და შიდსის გეგმის გარდამავალი კონსოლიდირებული სამუშაო ვერსია;
  c) საბოლოო გარდამავალი გეგმა - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს დასტურს საფუძვლად დაედება პოლიტიკის და ექსპერტთა საბჭოს შეფასება და ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული გარე შეფასების დასკვნა.

**ხელშეკრულების პირობები**

- ხელშეკრულების ვადა მაქსიმუმ 9 თვე, ხელშეკრულება შესაძლებელია დასრულდეს მომსახურების პირველ ეტაპის დასრულებასთან ერთად, დამოკიდებულია მიმდინარე საგრანტო ხელშეკრულების GEO-T-NCDC დასრულების ვადებსა და დონორთან შეთანხმებაზე;.
- გამარჯვებულ ორგანიზაციას დკსჯეც გადასცემს საჭირო ბაზისურ ინფორმაციას

**პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

- დოკუმენტები საკვალიფიკაციო მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დასამტკიცებლად (განხორციელებული პროგრამები, გამოქვეყნებული კვლევები და შეფასებები, პოლიტიკის დოკუმენტები, სხვა)
- ძირითადი გუნდის ავტობიოგრაფიები,მათი ფუნქციები და მომსახურების ფარგლებში დატვირთვა.
- საპროექტო წინადადება რომელიც აღწერს საბოლოო პროდუქტის შექმნის მეთოდოლოგიას და დროში გაწერილი განხორციელების გეგმა
- გლობალური ფონდთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- მომსახურების ბიუჯეტი, გაწერილი პროექტის ეტაპებისა და ფაზების შესაბამისად.

---

სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ „პრეტენდენტთან“. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული „პრეტენდენტის“ სატენდერო წინადადების შესაბამისად.

# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GF-T/SET/S--

ქ. თბილისი ---------- 2016 წელი

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - ს/კ №211324351 (შემდგომში „შემსყიდველი“), ცენტრის ---------- სახით, და მეორე მხრივ, --------- ს/კ №---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი ---------- სახით.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. შემსყიდველმა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (SPA-------) განახორციელა - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „GFATM“) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზისა და შიდსის მართვის პროგრამების გარდამავალი/მდგრადობის გეგმის შემუშავების მომსახურების (CPV კოდი 79400000) შესყიდვა საბიუჯეტო ხაზი ----, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება.

**3. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ვადები**

3.1. ------- (-------) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“), რომელიც მოიცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (დანართი #--), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება ხელშეკრულების დანართ ___-ში განსაზრღული გეგმა-გრაფიკის და მითითებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მომწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს გაწეული მომსახურების წერილობითი ანგარიში.

4.4. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 4.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მომწოდებელს.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5.2. ინსპექტირება განხორციელდება, მიმწოდებელის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე;

5.3. ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.4. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაზების შესაბამისად , მომსახურების გაწევის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.

6.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ანგარიშფაქტურაში მითითებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად და თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად (დანართი _) შესაბამისად;

7.2. მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მომსახურების ხარისხის და/ან მოწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

7.4. მომწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურები ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

7.5. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

ბ) მიმწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოცწარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

7.6. მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის მომსახურების მოწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა

გ) მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი“ და ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის (არსებობის შემთხვევაში).

**8. პირგასამტეხლო**

8.1. მომსახურების გაწევისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების მე-6.1. პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო თანხის ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვსთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ან/და შესრულებელი ვალდებულების ჯამური პირგასამტეხლო დაფიქსირდება 8.3. პუნქტში მითითებული განაკვეთის ოდენობით მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

**9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები**

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება  უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

10.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ამ ხელშეკრულებაში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რაც შეადგენს ----------ლარს.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება უწყვეტად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიით, ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განამავლობაში.

10.3 ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო;

10.4 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება წარმოადგენს ძირითად საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის უკან დასაბრუნებლად.

10.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

10.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

**11. ფორს-მაჟორული გარემოებები**

11.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

11.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

11.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

11.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

11.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

11.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

11.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

**12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

12.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.3 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

13.2. მხარეთა შეანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.

13.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

**14. სხვა პირობები**

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

14.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მომწოდებელთან“, ორი - „შემსყიდველთან“.

14.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**15. მხარეთა რეკვიზიტები**

| **„შემსყიდველი“** | **„მიმწოდებელი“** |
|---|---|
| სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | ---------- |
| ქ.თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9<br>ს/კ №211324351 | ქ. თბილისი, --------- №---<br>ს/კ №-------- |
| სახელმწიფო ხაზინა<br>ბ/კ №TRESGE22<br>ა/ა №GE 24 NB 0330 1002 0016 5022 | სს „--------“<br>ბ/კ №------<br>ა/ა №---------- |
| ---------- | ---------- |
| დირექტორი | დირექტორი |

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)